საინტერესო ორთაბრძოლაში

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 10 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) – “არარატი” (ერევანი) 1:0 (0:0).

“დინამო”: გაბელია, გ. მაჩაიძე, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, ჭილაია, დარასელია, მ. მაჩაიძე, კაკილაშვილი, გუცაევი (კოპალეიშვილი), ყიფიანი, ჩელებაძე.

“არარატი”: ვასილიევი, პეტროსიანი, სააკიანი, აშ. ხაჩატრიანი, მოვსესიანი, პოღოსიანი, ბონდარენკო, ოგანესიანი, ყასაბოღლიანი (მელიქიანი), ან. ხაჩატრიანი, გალუსტიანი (ზაქარიანი).

მსაჯი: ა. მუშკოვეცი (მოსკოვი).

გოლი: მ. მაჩაიძე (მე–60 წ.).

ერევნელ და თბილისელ ფეხბურთელთა ყოველი შეხვედრა ტრადიციულად დაძაბულად მიმდინარეობს. გამონაკლისი არც გუშინდელი მატჩი იყო. ამ გარემოებამ კი, რომ ფრე არც ერთ გუნდს არ აძლევდა ხელს, მეტი სიმწვავე შემატა თამაშს. მხოლოდ მოგებაზე ფიქრობდა “არარატი”, 2 ქულა კი უფრო მეტად თბილისელებს ესაჭიროებოდათ – სსრ კავშირის ჩემპიონატი ფინიშის სწორზე გადის და კაცი ვერ იტყვის როგორი თანმიმდევრობით განლაგდება ოთხი ლიდერი.

მატჩი “დინამოს” იერიშებით დაიწყო. უკვე მე–7 წუთზე თბილისელებს დაწინაურების რეალური შესაძლებლობა მიეცათ – ყიფიანი მოულოდნელად გაექცა რამდენიმე მეტოქეს (ერთი მათგანი, პოღოსიანი დავითს მთელი მატჩის განმავლობაში გვერდიდან არ მოსცილებია) და შესანიშნავად გადააწოდა ბურთი გუცაევს. ამ უკანასკნელის დარტყმული ბურთი ძელმა აისხლიტა.

თბილისელები განაგრძობენ იერიშს. “არარატი” მეტწილად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ფიქრობს. აქა–იქ კონტრშეტევაზეც გადადის, მაგრამ ეს იერიშები იმდენად იშვიათი და იმდენად გაუბედავია, რომ ტაიმის მანძილზე გაბელია ფაქტიურად “უმუშევრად” დგას. ერევნელებმა წინ მხოლოდ ხაჩატრიანი (№10) დატოვეს. მას დროდადრო თუ უბამენ მხარს ოგანესიანი და ყასიბოღლიანი.

26–ე და 32–ე წუთებზე სტუმართა მეკარე ვასილიევს მთელი ოსტატობის მოხმობა დასჭირდა, რათა ჩელებაძისა და მანუჩარ მაჩაიძის დარტყმული ბურთები მოეგერიებინა…

მეორე ტაიმი დინამოელთა შტურმით დაიწყო. 15 წუთის განმავლობაში, იქამდე, სანამ გოლი გავიდოდა ერევნელთა კარში, ბურთი “არარატის” საჯარიმოს არ მოსცილებია. 52–ე წუთზე ისევ კარგად თამაშობს ვასილიევი, ხუთი წუთის შემდეგ კი ჩელებაძის დარტყმის შემდეგ, ერთ–ერთ ერევნელ მცველს მოუხდა მეკარის მაგივრად ბურთის მოგერიება. პენალტი. ჩივაძე.

საპასუხისმგებლო ორთაბრძოლაში მეკარე გამოვიდა გამარჯვებული. იერიში გრძელდება. “არარატს” აშკარად უჭირს “დინამოს” ნახევარმცველთა და ფორვარდთა შეკავება. არც თუ იშვიათია ჯარიმები. სწორედ ერთ–ერთი მათგანი მე–60 წუთზე თბილისელთა კაპიტნის ძლიერი დარტყმით და გოლით დამთავრდა – 1:0.

შემდეგ “დინამოს” კიდევ არაერთხელ ჰქონდა ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა, მაგრამ ან თავგანწირული თამაშობდნენ სტუმართა მცველები, ანდა მოწოდების სიმაღლეზე იყო ვასილიევი. “არარატმა” ისევე როგორც პირველ ტაიმში,

ბევრი ვერაფერი ხიფათი შეუქმნა მასპინძელთა კარს. ყველაზე მწვავე ალბათ მაინც მატჩის მიწურულს განხორციელებული კონტრშეტევა იყო. ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი კარს ასცდა.

თბილისელებმა მეტად საჭირო 2 ქულა ჩაიწერეს აქტივში.

ბ. ირემაძე.

“ლელო”, 11 ოქტომბერი, 1979 წ.